საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

№ 263 2005 წლის 8 აპრილი ქ. თბილისი

გ. გოგიაშვილის თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად დაინიშნოს **გიორგი გოგიაშვილი** თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინის-ტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის თავმჯდომარედ.

მიხეილ სააკაშვილი

№1

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

№ 262 2005 წლის 8 აპრილი ქ. თბილისი

გ. გოგიაშვილის თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად გათავისუფლდეს **გიორგი გოგიაშვილი** თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის თანამდებობიდან.

მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება

№ 97 2006 წლის 1 თებერვალი ქ. თბილისი

მოსამართლე გ. გოგიაშვილის თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და საერთო სასამართლოების მოსამართლეთა რეზერვში ჩარიცხვის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ო" ქვეპუნქტისა და 54[1] მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მოსამართლე **გიორგი გოგიაშვილი** გათავისუფლდეს თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან და ჩაირიცხოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა რეზერვში.

მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/243

"10" დეკემბერი 2010 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

გ. გოგიაშვილის საერთო სასამართლოების მოსამართლეთა რეზერვიდან ამორიცხვისა და მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/210-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საერთო სასამართლოების მოსამართლეთა რეზერვის შესახებ დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, გიორგი გოგიაშვილი ამოირიცხოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა რეზერვიდან და გათავისუფლდეს მოსამართლის თანამდებობიდან, მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების გამო, 2010 წლის 10 დეკემბრიდან.

კონსტანტინე კუბლაშვილი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/156

„14" ივლისი 2016 წ.

ბ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

გ. გოგიაშვილის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლედ გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4 და 4[1] პუნქტების შესაბამისად, გიორგი გოგიაშვილი გამწესდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით, 2016 წლის 25 ივლისიდან.

ნიკო გვენეტაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/268

„ 20 „ ოქტომბერი 2017 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

გ. გოგიაშვილის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 79[4] მუხლის საფუძველზე, გიორგი გოგიაშვილი 2017 წლის 20 ოქტომბრიდან გამწესდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

ნინო გვენეტაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

სტატისტიკური ინფორმაცია თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის **გიორგი გოგიაშვილის** საქმიანობის შესახებ

(2017 წლის 1 ნოემბერი - 2020 წლის 1 ნოემბერი)

I განხილულ საქმეთა რაოდენობა

საანგარიშო პერიოდში[1] **გიორგი გოგიაშვილის** წარმოებაში არსებულ სააპელაციო საჩივრების რაოდენობამ შეადგინა 570. არსებული 570 საქმიდან მოსამართლემ დაასრულა 492. დასრულებულ საქმეთაგან - 428 დასრულდა გადაწყვეტილების გამოტანით, 63 - გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე, ხოლო 1 - მორიგების პირობების დამტკიცებით. საანგარიშო პერიოდის ბოლოს მოსამართლის ნაშთად დარჩენილ საქმეთა რაოდენობამ შეადგინა 78 საქმე.

გარდა აღნიშნულისა, საანგარიშო პერიოდში მოსამართლეს წარმოებაში ჰქონდა 225 კერძო საჩივარი, საიდანაც განიხილა 224 და ნაშთად დარჩა 1; ასევე 37 საჩივარი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე, რომელთაგანაც განიხილა ყველა; აგრეთვე მოსამართლეს დაეწერა 16 საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პრიმა თავებით გათვალისწინებულ საქმეებზე, საიდანაც განიხილა 14, ხოლო 2 დარჩა ნაშთად.

საერთო ჯამში, **გიორგი გოგიაშვილის** საქმიანობა მოცემულ საანგარიშო პერიოდში უნდა შეფასდეს დადებითად. თუ მოხდება მოსამართლის მიერ უფლებამოსილების განხორციელების დღეების მისადაგება მის მიერ დასრულებულ სასარჩელო წარმოების კატეგორიის საქმეებთან, გამოვა, რომ იგი 1014 დღეში ასრულებს 492 საქმეს (დღეში 0,5 საქმე), ხოლო თუ ავიღებთ ყველა კატეგორიის საქმეს, მოსამართლეს 1014 დღეში დასრულებული აქვს 767 საქმე (დღეში საშუალოდ 0,8 საქმე).

II საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა - ვადის დაცვით 36,4%, ვადის დარღვევით 63,6%

საანგარიშო პერიოდში მოსამართლე **გიორგი გოგიაშვილმა** დაასრულა 492 საქმე, საიდანაც 179 საქმე განიხილა საპროცესო ვადის დაცვით, 313 – ვადის დარღვევით.

---

[1] შესაფასებელი საანგარიშო პერიოდი მოიცავს 1095 დღეს, საიდანაც მოსამართლე სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებდა 1014 დღის განმავლობაში (54 კ/დ შვებულება, 27 კ/დ მივლინება), შესაბამისად, წარმოდგენილი სტატისტიკური ინფორმაცია ასახავს მოსამართლის საქმიანობას 1014 დღის განმავლობაში.

III გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა - ვადის დაცვით 57.8%, ვადის დარღვევით 42,2%

საანგარიშო პერიოდში მოსამართლე **გიორგი გოგიაშვილმა** გადაწყვეტილების გამოტანით დაასრულა 448 საქმე, საიდანაც 259 გადაწყვეტილება მომზადდა ვადის დაცვით და 191 საქმე - ვადის დარღვევით.

IV გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა - უცვლელი 96%; შეცვლილი 4%

საანგარიშო პერიოდში ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრებულ იქნა მოსამართლე **გიორგი გოგიაშვილის** მიერ განხილული 211 საქმე, საიდანაც 181 - ცნობილ იქნა დაუშვებლად, 26 საქმე დატოვებულია განუხილველად, 1 დარჩა უცვლელი, 3 - გაუქმდა. აგრეთვე 15 კერძო საჩივარი, საიდანაც 5 დაკმაყოფილდა, 7 უარი ეთქვა, 3 დატოვებულია განუხილველად.

სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარე

ირაკლი გოცირიძე [1]

[1] [1] **შენიშვნა:** გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის მაჩვენებლები შესაძლოა არ დაემთხვეს უშუალოდ შესაფასებელი მოსამართლის „ამოსარჩევ საქმეთა ნუსხაში" მითითებულ მონაცემებს შემდეგ მიზეზთა გამო:

1. შეცვლილი ან გაუქმებული გადაწყვეტილება საანგარიშო პერიოდის მიღმაა;
2. ზედა ინსტანციის ინფორმაცია ქვედა ინსტანციის სასამართლოს კანცელარიას არ აქვს მიღებული;
3. სააპელაციო სასამართლოს მიერ უცვლელად დატოვებული ან შეცვლილი გადაწყვეტილება გასაჩივრდა უზენაეს სასამართლოში.

მ ო წ მ ო ბ ა

მოწმობის მფლობელს უფლება ეძლევა
მოსამართლეობის საკვალიფიკაციო
გამოცდის წარმატებით ჩაბარებიდან
შვიდი წლის განმავლობაში
მონაწილეობა მიიღოს მოსამართლის
ვაკანტური ადგილის დასაკავებლად
გამართულ კონკურსში.

გამოცდის ჩაბარების თარიღი 2000 წლის 7 ოქტომბერი

მ ო წ მ ო ბ ა

ეს მოწმობა ადასტურებს, რომ
გიორგი კოპაძეს
(სახელი, გვარი)
წარმატებით ჩააბარა მოსამართლეობის
საკვალიფიკაციო გამოცდა.

საკვალიფიკაციო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს * COUNSIL OF JUSTICE OF GEORGIA * 203855658

№ 287

მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომი

№ 002350

თბილისი, 1999 წლის სექტემბერი.

ვ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

J 12. 00 C-1 სადისერტაციო საბჭის გადაწყვეტილებით

(ოქმი № 10 26. 01. 99)

მიენიჭა იურისპრუდენციის 12. 00. 02,

მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი

ამ გადაწყვეტილების საფუძველზე დიპლომი გაეცა

საქართველოს სუპერალი აკადემიური საბჭოს

საფიზიკურ-ტექნიკური საბჭის თავმჯდომარე

სუპერალი აკადემიური საბჭის თავმჯდომარე

Diploma of a Candidate of Science

№ 002350

Tbilisi, September 1999

V. Javakhishvili Tbilisi State Univer

By decision of the Dissertation Board J 12. 00 C-1

(Protocol № 10 of 26 01 99)

THE DEGREE OF A CANDIDATE OF SCIENCES

Jurisprudence 12 00 0

WAS CONFERRED ON

George Gogiashvili

On the grounds of this decision the diploma has been issu

by the Board of Academic Experts of Georgia

Chairman of the Dissertation Board

Chairman of the Board of Academic Experts

დიპლომი

გიორგი გოგიაშვილი

აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
აკადემიკოსი

არჩეულია 19.12.2016 წელი.

აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის

პრეზიდენტი *აკად. ზ.ლომთათიძე*

დიპლომი

გიორგი გოგიაშვილი

აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
აკადემიკოსი

არჩეულია 19.12.2016 წელი.

აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის

პრეზიდენტი აკად. ზ.ლომთათიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გიორგი გოგიაშვილის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20
წერის უნარი	20	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	97	100

სახელი, გვარი: ზაზა ხარებავა

თარიღი: 27.05.2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ზაზა ხარებავა

გიორგი გოგიაშვილის შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის გიორგი გოგიაშვილის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, რომლის მიხედვით: „საბჭოს წევრები, ამ კანონის 36^3 მუხლის გათვალისწინებით, სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატს აფასებენ ქულებით ამ კანონის 35^1 მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატს – ქულებით ამ კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები კანდიდატებს აფასებენ აგრეთვე ამ კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის შესაბამისად. ამასთანავე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოველი წევრი კანდიდატის შეფასებისას წერილობით ასაბუთებს ამ კანონის 35^1 მუხლის მე-16 პუნქტით, 36^4 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ თითოეულ ქულას და ამ კანონის 36^3 მუხლით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერების კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელს. აღნიშნულ შეფასებებსა და დასაბუთებებში მიეთითება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი წევრის სახელი, გვარი და ხელმოწერა"

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის შესაბამისად კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის მიხედვით:

1. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებია:
ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;
დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;
ე) ფინანსური ვალდებულება.

2. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებია:
ა) სამართლის ნორმების ცოდნა;
ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
გ) წერის უნარი;

დ) ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
ე) პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;
ვ) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
ზ) პროფესიული აქტივობა.

ხოლო ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის შესაბამისად კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის მიხედვით:

3. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებია:
ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;
დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია.

4. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებია:
ა) სამართლის ნორმების ცოდნა;
ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
დ) პროფესიული თვისებები;
ე) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
ვ) პროფესიული აქტივობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, განვახორციელე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის თაობაზე დადგენილი წესით მოძიებული ინფორმაციის შესწავლა, ორგანული კანონით განსაზღვრული თითოეული კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით შეფასება და შესაბამისი დასაბუთება.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		დასაბუთება
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატ გიორგი გოგიაშვილის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას დავეყრდენი ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე მასზე მოძიებულ ინფორმაციას და აგრეთვე კანდიდატთან გამართულ უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას. **1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:** კანდიდატზე მოძიებული მასალების გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ გიორგი გოგიაშვილი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს სამოქალაქო ვალდებულებებს, რაც მისი ფინანსური ვალდებულებებისა და ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციის გაცნობისას ირკვევა, კერძოდ: გიორგი გოგიაშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. აქვს მიმდინარე სესხი, ვადის გადაცილების გამო აქვს მცირედი ჯარიმები თუმცა საკრედიტო ისტორია დადებითია. აგრეთვე სრულად და დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დადგენილი ჯარიმები. კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილ რეკომენდაციებსა და კითხვარებში, კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები, მას პატიოსან, კეთილსინისიერ, მაღალი პროფესიული სინდისის მქონე პიროვნებად ახასიათებენ. კანდიდატზე მოძიებული მასალების გაცნობისა და მისი საჯარო მოსმენის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ იგი, პატიოსანი მოსამართლე და მოქალაქეა, გააჩნია მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის მაღალი შეგნება, სიმართლისმოყვარეა, კეთილსინდისიერად, კორექტულად და გამჭვირვალედ ასრულებს თავის ფინანსურ თუ სხვა ვალდებულებებს. მივიჩნევ, რომ კანდიდატი გიორგი გოგიაშვილი სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36[3]
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. **2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:** მოძიებული მასალების გაცნობისა და მისი საჯარო მოსმენის შედეგად ვლინდება, რომ გიორგი გოგიაშვილი დამოუკიდებელია სამოსამართლო ვალდებულებების შესრულებისას და სამოსამართლო ფუნქციებს ასრულებს ჯეროვნად. გიორგი გოგიაშვილი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი და შემომწირველი. შესწავლილი მასალით და კანდიდატის მოსმენის შედეგად ჩანს, რომ იგი დამოუკიდებელია საზოგადოებრივი და პოლიტიკური გავლენებისგან, აგრეთვე თავისუფალია პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით მიკერძოებული მიდგომებისაგან. ასევე რეკომენდატორების მითითებითაც, კანდიდატი არის დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, სამართლიანი. მისი გადაწყვეტილება ეფუძნება მხოლოდ კანონს და მყარ არგუმენტაციას. გასაუბრების პროცესში კანდიდატმა მის მიმართ დასმული საკითხები განიხილა დამოუკიდებელი და ობიექტური შეფასებების, შესაბამისი ანალიზისა და არგუმენტაციის მოშველიებით. სახეზეა მისი პიროვნული სიმყარე, საკითხებისადმი პრინციპული მიდგომები და შეუვალობა. აქვს გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების კარგად გამოხატული უნარი და აქვს შესაძლებლობა იყოს ზეგავლენების მიმართ მედეგი. მივიჩნევ, რომ კანდიდატი გიორგი გოგიაშვილი სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. **3. პიროვნული და პროფესიული ქცევა:** რეკომენდატორების მითითებით გიორგი გოგიაშვილის პიროვნული და

		პროფესიული ქცევა შეესაბამება მოსამართლის მაღალ სტანდარტს. კანდიდატის თაობაზე მოძიებული მასალებით კი დგინდება, რომ მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. კანდიდატი მონაწილეობდა ოთხ სამოქალაქო საქმეში: სამოქალაქო საქმე №2/10558-12, მოსარჩელე გიორგი გოგიაშვილი, დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება, გამოხმობის გზით სარჩელი დარჩა განუხილველი; -სამოქალაქო საქმე №16149-12, განმცხადებელი - გიორგი გოგიაშვილი, დავის საგანი: ყადაღის დადება უძრავ ქონებაზე, განმცხადებლის მოთხოვნა დაკმაყოფილდა; -სამოქალაქო საქმე №2/10239-12, მოსარჩელე - გიორგი გოგიაშვილი, დავის საგანი: დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მოსარჩელეს სარჩელის მიღებაზე უარი ეთქვა; -სამოქალაქო საქმე №2/10553-14, ერთ-ერთი მოპასუხე - გიორგი გოგიაშვილი, დავის საგანი: თანხის დაკისრება, მოსარჩელეს სარჩელის მიღებაზე უარი ეთქვა. კანდიდატი აგრეთვე წარმოადგენდა დაზარალებულს სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც ბრალდების მხარის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის გამო საქმის წარმოება შეწყდა. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიანი საინფორმაციო ბანკის მონაცემებით, კანდიდატი საანგარიშო პერიოდში რამდენიმეჯერ დაჯარიმდა ავტოსაგზაო წესების დარღვევის გამო. მიმდინარე საჯარო მოსმენის პროცესში კანდიდატმა გამოავლინა კორექტულობა, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი. ყოველივე ზემოაღნიშნული მაძლევს საფუძველს დავასკვნა, რომ კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს, მისი ქცევა კოლეგებთან თუ სხვა პირებთან და მისი იმიჯი, შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას. მივიჩნევ, რომ კანდიდატი გიორგი გოგიაშვილი სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. **4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:**

		კანდიდატის შეფასებისას დავეყრდენი მის შესახებ რეკომენდაციებისა და კითხვარების ფორმების, მასზე მოძიებული ინფორმაციის გაცნობისა და საჯარო მოსმენისას გამოვლენილ შედეგებს. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ გიორგი გოგიაშვილი საზოგადოებრივ და იურიდიულ წრეებში მაღალი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით სარგებლობს, მით უფრო, როცა იგი ასევე ეწევა აქტიურ პედაგოგიურ/სამეცნიერო საქმიანობას. ერთი რეკომენდატორი კანდიდატის სუსტ მხარედ უთითებს, რომ მას არ უყვარს საჯაროდ საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა. დანარჩენ რეკომენდატორებს კანდიდატის ნაკლოვანებებისა და სუსტი მხარეების შესახებ არ მიუთითებიათ. კანდიდატის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მის მიერ განხილული რამდენიმე საქმის თაობაზე. მედიის მიერ გაშუქდა მისი მონაწილეობა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კონკურსში; ამდენად, მიმდინარე პროცესში კანდიდატის დადებითი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის შემბღალავი რაიმე დადგენილი ფაქტი, ან ობიექტური გარემოება არ გამოვლენილა. შემიძლია დავასკვნა, რომ საზოგადოებაში და იურიდიულ წრეებში კანდიდატი სარგებლობს კარგი საქმიანი და მორალური რეპუტაციით, ავტორიტეტით, ამასთან იურიდიულ წრეებთან მისი ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი შესაბამისობაშია მოსამართლის თანამდებობასთან. მიმიაჩნია, რომ კანდიდატი გიორგი გოგიაშვილი სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. **5. ფინანსური ვალდებულება:** კანდიდატის მიერ შევსებულ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში ასახულია მონაცემები კანდიდატის და მისი ოჯახის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების შესახებ, ასევე საბანკო

			დაწესებულებაში არსებული ანგარიშისა და შენატანების თაობაზე. კანდიდატს აქვს მიმდინარე სესხი და დადებითი საკრედიტო ისტორია. მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. მოპოვებული მასალებით დგინდება, რომ ქონებრივ დეკლარაციაში ასახული უძრავ ქონებასთან დაკავშირებული მონაცემები შესაბამისობაშია საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებთან. ამ ინფორმაციებზე დაყრდნობით მიმაჩნია, რომ კანდიდატის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების რაიმე საფუძველი, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას, უნდა გამოირიცხოს. მივიჩნევ, რომ კანდიდატი გიორგი გოგიაშვილი სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. კანდიდატთან გასაუბრების პროცესში და არც მის შესახებ მოძიებულ მასალებში, არ გამოვლენილა რაიმე ისეთი გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, მიმაჩნია, რომ გიორგი გოგიაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**დასაბუთება**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	**19**	**20**	გიორგი გოგიაშვილის სამართლებრივი ნორმების ცოდნის შეფასებისას ვიხელმძღვანელე უშუალოდ კანდიდატთან გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით, მის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებისა და

			სამართლებრივი პუბლიკაციის გაცნობით. კანდიდატმა საჯარო მოსმენიასას როგორც ეროვნული, ისე ადამინის უფლებათა სამართლის, საქართველოს კონსტიტუციის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ცოდნის მაღალი დონე გამოავლინა. კანდიდატმა აგრეთვე სიღრმისეულად ისაუბრა კონტინეტური ევროპისა და ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის შესახებ და მათ გავლენაზე საქართველოს კანონმდებლობაში. მოიყვანა მაგალითები სხვადასხვა მეცნიერული ნაშრომებიდან თუ სასამართლო გადაწყვეტილებებიდან. კანდიდატმა იმსჯელა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებზე. კანდიდატმა ფართოდ განმარტა სამართლის პოზიტივიზმი მოსამართლის დისკრეციულ უფლებამოსილებასთან მიმართებით. აღნიშნა, რომ სამოსამართლო სამართალს დღევანდელ პირობებში მიიჩნევს სამართლის წყაროდ. კანდიდატმა იმსჯელა პრეამბულისა და კონსტიტუციის ურთიერთმიმართებაზე, პრეამბულის მნიშვნელობასა და როლზე. ამასთან, პრეამბულის ნორმატიულ ხასიათთან დაკავშირებით განმარტა, რომ მას, როგორც მეცნიერს, არ აქვს ცალსახა პასუხი იმასთან დაკავშირებით უნდა იყოს თუ არა პრეამბულა გამოყენებული ნორმატიულ დოკუმენტად, თუმცა ცალსახაა რომ პრეამბულა ეხმარება მოსამართლეს კონსტიტუციური ნორმების განმარტებაში. კანდიდატმა ისაუბრა კონსტიტუციაში ღმერთის იდეაზე, ბუნებითი სამართლის ადგილზე საქართველოს კონსტიტუციაში. მან ისაუბრა სიცოცხლის უფლების რელატიურ ბუნებაზე და ასევე, ღირსებაზე, როგორც ყველა სხვა უფლების საფუძველზე. ისაუბრა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთ საფუძველზე - სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვის ასპექტში და მრავალი სხვა. გასაუბრებიდან ჩანს, რომ კანდიდატი რეგულარულად ეცნობა საკანონმდებლო ცვლილებებს, ეროვნულ და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკასა და მეცნიერების სიახლეებს, გააჩნია სამართლის თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრებისა და სამართლის კომპლექსური საკითხების გაცნობიერების უნარი.

			კანდიდატი არის მოქმედი მოსამართლე და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში. კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება და საკუთარი ავტორობით სახელმძღვანელო: ,,სამოსამართლო სამართალი''. გადაწყვეტილების გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ სამართლის ნორმები, როგორც ეროვნული, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან, სწორად არის გამოყენებული და განმარტებული. მოსამართლე თავის სახელმძღვანელოში ავითარებს სამოსამართლო სამართლის მისეულ ხედვას, მიმოიხილავს სამართლის სიტემას და ყურადღებას ამახვილებს სამოსამართლო სამართალში წამოჭრილ პრობლემატურ და მნიშვნელოვან საკითხებზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მივიჩნევ, რომ კანდიდატი გიორგი გოგიაშვილი აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მეორე პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,სამართლის ნორმების ცოდნის" კრიტერიუმში გიორგი გოგიაშვილი უნდა შეფასდეს 19 (ცხრამერი) ქულით.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20	კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატთან გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით, კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების, სამართლებრივი პუბლიკაციისა და მისი პროფესიული გამოცდილების შეფასებებით. საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა გამოავლინა საკითხზე სამართლებრივად არგუმენტირებული მსჯელობის, ანალიზის, საკუთარი პოზიციის დასაბუთებისა და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი. ავლენს სამართლებრივი პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე, მისი გადაწყვეტის თეზისის განვითარებისა და შერჩეული მიდგომის დასაბუთების უნარს. გ.გოგიაშვილი აზრს ავითარებს გასაგებად,

			თანმიმდევრულად და დამაჯერებლად. ასევე, კანდიდატის მიერ წარმოდგენილ გადაწყვეტილებებში მსჯელობა სამართლებრივად სწორად დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. მათი გაცნობის შედეგად დგინდება, რომ დაცულია სამართლიანი სასამართლოს ისეთი აუცილებელი ელემენტი, როგორიც არის დასაბუთებული გადაწყვეტილება. კანდიდატი წარმოდგენილ სახელმძღვანელოში ლოგიკური თანმიმდევრულობითა და დასაბუთებით ავითარებს მსჯელობას, წარმოაჩენს საკითხისადმი ანალიტიკური გააზრებით მიდგომის უნარს და აღწერს მათ გადაჭრის გზებსაც. კანდიდატს აქვს მოსამართლედ მუშაობის 9 წლიანი გამოცდილება. თავდაპირველად მუშაობდა თბილისის საოლქო სასამართლოში, იყო თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარე. 2006 – 2010 წლებში ირიცხებოდა მოსამართლეთა რეზერვში, ხოლო 2016 წლიდან არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე. გარკვეული პერიოდით კანდიდატი ეწეოდა იურიდიულ საქმიანობას კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაშიც. ჩანს, რომ კანდიდატს გავლილი აქვს საკმაოდ შრომატევადი პროფესიული გზა და გააჩნია სათანადო დონის გამოცდილება. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი გიორგი გოგიაშვილი აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მეორე პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენციის“ კრიტერიუმში გიორგი გოგიაშვილი უნდა შეფასდეს 20 (ოცი) ქულით.

წერის უნარი	20	20	კანდიდატის წერის უნარის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების (ერთი განსხვავებული აზრი) და სამართლებრივი სახელმძღვანელოს გაცნობით, ასევე რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მოსაზრებებით და შედეგად ვასკვნი, რომ გ.გოგიაშვილი აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს. სამართლებრივი დოკუმენტები არ არის გადატვირთული არამიზნობრივი, შაბლონური მსჯელობით. იგი კარგად ფლობს და ადეკვატურად იყენებს სამართლებრივ ლექსიკას, გადაწყვეტილებებში საფუძვლიანად, ლოგიკურად ავითარებს მსჯელობას და ასაბუთებს მიღებულ დასკვნას. მისი ნაშრომი თეორიულად მაღალინფორმაციულია, ეფუძნება სამართლებრივ ანალიზს და ამასთანავე არის მკითხველისთვის იოლად აღსაქმელი. შესწავლილ მასალაში მნიშვნელოვანი გრამატიკული ან რედაქციული ხასიათის შეცდომები არ გამოვლენილა. რეკომენდატორებიც უთითებენ, რომ კანდიდატს აქვს განსაკუთრებული წერის მანერა, რაზეც მეტყველების მისი გადაწყვეტილებები, სამეცნიერო ნაშრომები თუ სახელმძღვანელოები. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი გიორგი გოგიაშვილი აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის მეორე პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36[4] მუხლის მე-8 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,წერის უნარის“ კრიტერიუმში გიორგი გოგიაშვილი უნდა შეფასდეს 20 (ოცი) ქულით.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15	ზეპირი კომუნიკაციის უნარის შეფასებისას ვიხელმძღვანელე საჯარო მოსმენის დროს კანდიდატზე დაკვირვებით და წარმოდგენილი მასალებიდან მიღებული ინფორმაციით. კანდიდატმა გამოავლინა ზეპირი კომუნიკაციის კარგი უნარი. მოსამართლე მეტყველებს მკაფიოდ და გამართულად, აზრს გადმოსცემს გასაგებად, დამაჯერებლად. მას გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, განსხვავებული აზრის მიმართ ღიაობა და მოსმენის შესაძლებლობა. რეკომენდატორებიც უთითებენ რომ გ.გოგიაშვილი გამოირჩევა კომუნიკაციის კარგი უნარით, მისი ლექციები ხასიათდება აუდიტორიის სიმრავლით, ასევე ხშირად აკეთებს პრეზენტაციებს საერთაშორისო კონფერენციებზე.

			ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი გიორგი გოგიაშვილი აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის მეორე პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36[4] მუხლის მე-8 პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,ზეპირი კომუნიკაციის უნარის“ კრიტერიუმში გიორგი გოგიაშვილი უნდა შეფასდეს 15 (თხუთმეტი) ქულით.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15	გიორგი გოგიაშვილის პროფესიული თვისებებისა და მათ შორის სასამართლო დარბაზში ქცევის შეფასებისას ვიხელმძღვანელე რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებით, სასამართლოდან მიღებული და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემებით. რეკომენდატორები გამოყოფენ კანდიდატის ისეთ თვისებებს, როგორებიცაა: საქმისადმი თავდადება, კორექტულობა, სიღრმისეული აზროვნების უნარი, შრომისმოყვარეობა და სხვა. სასამართლოდან მიღებული და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა, რომ კანდიდატს საანგარიშო პერიოდში საპროცესო ვადების დაცვით მომზადებული აქვს საქმეთა - 36,4% ხოლო ვადის დარღვევით 63,6%. ამავე პერიოდში, გადაწყვეტილებათა 57,8% მომზადდა ვადის დაცვით, ხოლო ვადის დარღვევით 42,2%. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის კუთხით, გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა გასაჩივრებულ საქმეთა 96%, ხოლო შეიცვალა 4%. საანგარიშო პერიოდში (1014 დღე) კანდიდატს დასრულებული აქვს 767 საქმე, დღეში საშუალოდ 0,8 საქმემდე. მოწოდებულ და ასევე, საჯარო მოსმენისას მიღებული ინფორმაციის შეჯერების შედეგად მიმაჩნია, რომ კანდიდატს გააჩნია სასამართლო სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი. იგი გულმოდგინე, შრომისმოყვარე და მიზანდასახულია, მისი ქცევა სასამართლო დარბაზში და მხარეებთან ურთიერთობისას აკმაყოფილებს მოსამართლის მაღალი წოდების სტანდარტს. მისი დამოუკიდებელი აზროვნების უნარი აძლევს შესაძლებლობას

			დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები. განხილულ საქმეთა რაოდენობრივი და გადაწყვეტილებათა სტაბილურობის სტატისტიკური მაჩვენებლები საკმაოდ მაღალია, თუმცა, რაც შეეხება კანდიდატის პროდუქტიულობას საქმეთა მომზადებისა და იმავე პერიოდში გადაწყვეტილებების მომზადების საპროცესო ვადების დაცვის თვალსაზრისით, მონაცემები შედარებით არადამაკმაყოფილებლად გამოიყურება. აქვე აღვნიშნავ, რომ მისი პროფესიული თვისებებიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე, ვფიქრობ მას მეტწილად აქვს სტრესულ სიტუაციებში მუშაობისა და მათი დაძლევის უნარი. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი გიორგი გოგიაშვილი ძირითადად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მეორე პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში" კრიტერიუმში გიორგი გოგიაშვილი უნდა შეფასდეს 13 (ცამეტი) ქულით.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატზე არსებული ინფორმაციის გაცნობით და ასევე გასაუბრების პროცესში მასზე დაკვირვებით. კანდიდატზე არსებული ინფორმაციის გაცნობით დგინდება, რომ გ. გოგიაშვილი არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეროვნული სამეცნიერო აკადემიის წევრი. აგრეთვე არის უნგრეთის შედარებითი სამართლის აკადემიის წევრი. კანდიდატს აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი. ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს, ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (07.10.2001წ.). კანდიდატი მონაწილეობდა არაერთ პროფესიული წვრთნის პროგრამაში, როგორებიცაა: საჯარო ადმინისტრაციის ცვლილებათა სტრატეგია - სასწავლო კურსი (დიდი ბრიტანეთი, ლონდონი. 2001 წ.); - რელიგიური ტოლერანტობა - სასწავლო კურსი (აშშ. ჩრ. კაროლინა. ვაშინგტონი, 2002 წ); - ურთიერთთანამშრომლობა ფინანსური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში -

			სასწავლო კურსი (აშშ. ნიუ ორლიანი, ვაშინგტონი, 2005 წ.); - სასამართლო მენეჯმენტი - სასწავლო კურსი (აშშ. კალიფორნია. სან-ფრანცისკო 2018წ.); - გაეროს 1951 წლის ლტოლვილთა შესახებ კონვენციის გამოყენების თეორიისა და პრაქტიკის შესახებ ტრენინგი (ყირგიზეთი, ბიშკეკი. 2018წ); - ტრენერთა ტრენინგი საერთაშორისო სამართალში 2016-2019წწ; - ტესტის შექმნის მეთოდოლოგია - სასწავლო კურსი და სხვა. გარდა ამისა იგი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, არის არაერთი სახელმძღვანელოს, სტატიისა თუ სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი/თანავტორი, არაერთი სამართლებრივი ჟურნალის სარედაქციო ჯგუფის წევრი. ვლინდება, რომ კანდიდატი ღიაა სიახლეების მიმართ, აქვს ჩამოყალიბებული საოფისე კულტურა და მას უდაოდ შესწევს ცოდნის დამოუკიდებლად გაღრმავებისა და მუდმივი განახლების უნარი, მათი პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების შესაძლებლობა. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი გიორგი გოგიაშვილი აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მეორე პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის,,ვ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნის" კრიტერიუმში გიორგი გოგიაშვილი უნდა შეფასდეს 5 (ხუთი) ქულით.
პროფესიული აქტივობა	**5**	**5**	პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატზე არსებული ინფორმაციის გაცნობით და ასევე გასაუბრების პროცესში მასზე დაკვირვებით. როგორც ზემოთ აღინიშნა, კანდიდატს, როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ არაერთ სამართლებრივ ღონისძიებაში აქვს მონაწილეობა მიღებული, შემდეგ თემებზე: საჯარო ადმინისტრაციის ცვლილებათა სტრატეგია, რელიგიური ტოლერანტობა, ურთიერთთანამშრომლობა ფინანსური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში, სასამართლო მენეჯმენტი და სხვა. გ.გოგიაშვილი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა სასწავლო უნივერსიტეტებში, კერძოდ: 2016 წლიდან არის ექსპერტ-ლექტორი საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში. 2015 წლიდან არის მოწვეული

			პროფესორი საქართველოს საპატრიარქოს ქართულ უნივერსიტეტში. 2010 წლიდან მოწვეული პროფესორი კავკასიის უნივერსიტეტში. 2009 წლიდან საჯარო სამართლის მიმართულების პროფესორი საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1999 წლიდან - 2006 წლამდე იყო მოწვეული ლექტორი ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში. კანდიდატი ავტორია/თანავტორია არაერთი სახელმძღვანელოს, სტატიისა თუ სამეცნიერო პუბლიკაციის: შედარებითი ფედერალიზმი. „ინტელექტი“2000წ. შედარებითი კონსტიტუციური სამართალი „იურისტების სამყარო“ 2014 წ. სამოსამართლო სამართალი „იურისტების სამყარო“ 2014 წ. საქართველოს ტერიტორიული მოწყობის გადაწყვეტის გზები ბელგიასა და ესპანეთის შედარებით სამართლებრივი ანალიზის ფონზე (ლ. ჯანაშვილის თანაავტორობით) 2017წ. და სხვა. კანდიდატი არის არაერთი სამართლებრივი ჟურნალის სარედაქციო ჯგუფის წევრი, ასევე გამოქვეყნებული აქვს არაერთი სტატია: რეფერირებად ჟურნალის ,,სპექტრის'' სარედაქციო კოლეგიის წევრი; საქართველოს ტერიტორიული მოწყობის კონფერენცია, თანაავტორი (ფრიდრიხ ებარტის ფონდის ბიულეტენი, 1997წ. №2; კომპეტენციის გამიჯვნა ცენტრსა და ავტონომიას შორის (GTZ-ის საერთაშორისო კონფერენციის მასალების კრებული); საჯარო სამართალი, კერძო სამართალი და სასამართლო და სხვა. ყოველივე ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს აქვს საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვის, ინიციატივების გამოჩენის, წინადადებებისა და იდეების წამოყენების უნარები. შემიძლია ვთქვა, რომ მას გააჩნია მაღალი ავტორიტეტი და სათანადო დამსახურება იურიდიული პროფესიის საზოგადოების წინაშე. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი გიორგი გოგიაშვილი აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მეორე პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,პროფესიული აქტივობის“ კრიტერიუმში გიორგი გოგიაშვილი უნდა შეფასდეს 5 (ხუთი) ქულით.

ქულათა ჯამი	97	100	

სახელი გვარი: ზაზა ხარებავა

ხელმოწერა:

თარიღი: 27.05.2021 წ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გიორგი გოგიაშვილის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20
წერის უნარი	20	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	96	100

სახელი, გვარი: თეა ლეონიძე

თ.

თარიღი: 28.05.2021

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის

გიორგი გოგიაშვილის

შეფასების დასაბუთება

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1, 36^3, 36^4 მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე განვახორციელე კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების მახასიათებლების და კომპეტენტურობის მახასიათებლების გათვალისწინებით. ჩემი შეფასება ეფუძნება კანდიდატის მიერ წარმოდგენილ და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოძიებულ ინფორმაციას, ასევე საჯარო მოსმენის შედეგად მიღებულ მონაცემებს.

ზოგადი ინფორმაცია კანდიდატზე: გიორგი გოგიაშვილი - დაბადებული: 1971 წლის 1 იანვარს, უმაღლესი იურიდიული განათლებით, მაგისტრთან გათანაბრებული (თსუ), მინიჭებული აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი (თსუ), აფხაზეთს ავტონომიური რესპუბლიკის ეროვნული სამეცნიერო აკადემიის წევრი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე, სპეციალობით მუშაობის გამოცდილება 26 წელი, მათ შორის მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება 9 წელი.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 ნაწილის თანახმად კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ამ მუხლით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლები. ამ მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად ვიღებ ერთ-ერთ დასკვნას:

ა) მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;

ბ) მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;

გ) მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;

1. **პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:**

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის მესამე პუნქტის თანახმად პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება პირის - როგორც მოსამართლისა და მოქალაქის - პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭირვალობა კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოძიებული ინფორმაციის, ასევე საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე დგინდება, რომ კანდიდატ გიორგი გოგიაშვილს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, მცირედი ჯარიმებით, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, არის ადმინისტრაციულად სახდელდადებული რამოდენიმე საგზაო მოძრაობის წესის დარღვევისათვის, ყველა ჯარიმა გადახდილია დროულად, გიორგი გოგიაშვილის მიმართ არ დაწყებული დისციპლინური დევნა, რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის მოკრძალებულობას, მაღალ ინტელექტს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:

დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.

მოპოვებული მონაცემებით დგინდება, რომ კანდიდატი გიორგი გოგიაშვილი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ან შემომწირველი, მის მიერ განხილულ იქნა საქმეები, რომელიც მოექცა მედიის ყურადღების ქვეშ. რაიმე ობიექტური გარემოება რაც ეჭვქვეშ დააყენებდა მოსამართლის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას არ გამოვლენილა. რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის სამართლიანობის, მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის შესახებ.

შესაბამისად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

3. **პიროვნული და პროფესიული ქცევა:**

პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

მონაცემების მიხედვით, კანდიდატი - გიორგი გოგიაშვილი იყო მხარე რამოდენიმე სამოქალაქო საქმეზე, ასევე იყო ცნობილი დაზარალებულად. არ მოიპოვება რაიმე ინფორმაცია სასამართლოში დავების წარმართვისას მისი მხრიდან რაიმე არაკორექტული ან მოსამართლის მაღალი წოდებისათვის შეუსაბამო ქცევის შესახებ. მისი გარეგნული იერსახე სრულად შეესაბამება მოსამართლის მაღალ თანამდებობას. კანდიდატ გიორგი გოგიაშვილის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა.

შესაბამისად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

4. **პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:**

პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი, ხარისხი და სხვა.

კანდიდატი გიორგი გოგიაშვილი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, არის არაერთი სახელმძღვანელოს, სტატიისა და სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი. რეკომენდატორები გამოარჩევენ მის მაღალ რეპუტაციას როგორც მოსამართლეებს, ისე თეორეტიკოს იურისტებსა და სტუდენტებს შორის.

შესაბამისად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

5. **ფინანსური ვალდებულება:**

ფინანსური ვალდებულების მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ. ფინანსური ვალდებულების შემოწმების მიზანია, შეფასდეს, არსებობს თუ არა საფუძველი მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას.

კანდიდატ გიორგი გოგიაშვილს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, მცირედი ჯარიმებით, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, კანდიდატს საკუთრებაში აქვს საცხოვრებელი ბინა ქ. თბილისში, არასაცხოვრებელი ფართი, საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი კასპის რაიონში, მიწის ნაკვეთები თბილისში, ტაბახმელასა და საგურამოში. კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა.

შესაბამისად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

აღნიშნული მახასიათებლების გათვალისწინებით მივიჩნიე, რომ კანდიდატი გიორგი გოგიაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის

კრიტერიუმის მიხედვით:

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36[4] მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმით, მოსამართლეობის კანდიდატი ფასდება ქულებით. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლის მნიშვნელობიდან გამომდინარე თითოეული მახასიათებლის მიხედვით მოსაპოვებელ ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა:

ა) სამართლის ნორმების ცოდნა - 20 ქულა;

ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 20 ქულა;

გ) წერის უნარი - 20 ქულა;

დ) ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 15 ქულა;

ე) პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში - 15 ქულა;

ვ) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 5 ქულა;

ზ) პროფესიული აქტივობა - 5 ქულა.

1. **სამართლის ნორმების ცოდნა:**

სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე. ამ მახასიათებლით მოსამართლის შეფასების მიზნით შემფასებელი ითვალისწინებს მოსამართლის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში სამართლის ნორმების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, გამოყენების სისწორეს. აღნიშნული მახასიათებლით მოსამართლის

შესაფასებლად შემფასებელი აგრეთვე გამოითხოვს მოსამართლის მიერ ჩაბარებული მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგებს და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატი გიორგი გოგიაშვილი სრულყოფილად ფლობს საქართველოს ადმინისტრაციული სამართლის როგორც მატერიალურ, ისე საპროცესო კანონმდებლობას. კანდიდატ გიორგი გოგიაშვილს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეროვნული სამეცნიერო აკადემიის წევრი, უნგრეთის შედარებითი სამართლის აკადემიის წევრი, არის ავტორი სახელმძღვანელოებისა ,,შედარებითი ფედერალიზმი"; ,,შედარებითი კონსტიტუციური სამართალი", ,,სამოსამართლო სამართალი", თანაავტორი სახელმძღვანელოსი ,,საკონსტიტუციო სამართალი".

კანდიდატის მიერ წარმოდგენილ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დავალების, ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნით. გადაწყვეტილებათა გაცნობის შედეგად ირკვევა, რომ აპელანტის და მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნები გადმოცემულია სრულყოფილად, გადაწყვეტილება სტრუქტურულად აგებულია საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

კანდიდატ გიორგი გოგიაშვილის მიერ სამართლის ნორმების ცოდნის შესაფასებლად ასევე ვიხელმძღვანელე სტატისტიკური მონაცემებით ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გადაწყვეტილებების სტაბილურობის თაობაზე, რაც შეადგენს - 96%;

კანდიდატის მიერ ასევე წარმოდგენილ იქნა განსხვავებული აზრი და სახელმძღვანელო ,,სამოსამართლო სამართალი".

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ გიორგი გოგიაშვილის სამართლის ნორმების ცოდნას ვაფასებ 19 ქულით.

2. **სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია:**

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა, მოსამართლის ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება.

კანდიდატს გააჩნია მრავალწლიანი პროფესიული გამოცდილება, მისი გადაწყვეტილებები გამოირჩევა დასაბუთების მაღალი ხარისხით. საგულისხმოა, რომ კანდიდატს შეუძლია სამართლებრივი პრობლემის არსის სწორად დანახვა, ძირითად საკითხებზე კონცენტრირება და მისი ანალიზი. მის მიერ წარმოდგენილი

დოკუმენტებში განსაკუთრებით გამოვარჩევდი უნარს სამართლებრივი პრობლემის ყოველმხრივ წარმოჩენის და შეფასების. კანდიდატის გადაწყვეტილებებში ევროსასამართლოს და უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მოხსენებულია საჭიროებისამებრ და არ არის გადატვირთული. მის მიერ გაკეთებული განმარტებები, შესაბამისობაშია უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკასთან და შეესაბამებიან კანონს. მიმაჩნია, რომ კანდიდატმა გასაუბრების გასაუბრების დროს გასცა დასაბუთებული პასუხები.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ გიორგი გოგიაშვილს სამართლებრივი დასაბუთების უნარს და კომპეტენციას ვაფასებ 20 ქულით.

3. **წერის უნარი:**

წერის უნარის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების გაცნობის შემდეგ, ვასკვნი, რომ აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, სასვენი ნიშნები გამოყენებულია სწორად. გადაწყვეტილება სტრუქტურულად აგებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ გიორგი გოგიაშვილის წერის უნარს ვაფასებ 20 ქულით.

4. **ზეპირი კომუნიკაციის უნარი:**

ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.

ზეპირი კომუნიკაციის უნარის შეფასებისას მხედველობაში მივიღე კანდიდატის გასაუბრება, გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატი ძირითადად ინარჩუნებდა სიმშვიდეს, აზრს გადმოსცემდა გასაგებად. იძლეოდა განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობას.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ გიორგი გოგიაშვილის ზეპირი კომუნიკაციის უნარს ვაფასებ 14 ქულით.

5. **პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში:**

პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის, მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა

სასამართლო დარბაზში და სასამართლო სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა.

მოპოვებული ინფორმაციის თანახმად კანდიდატ გიორგი გოგიაშვილის მონაცემებში შეინიშნება საქმის განხილვის საპროცესო ვადის დარღვევები, გადაწყვეტილების მომზადების ვადები შედარებით დაცულია. გასაუბრებისას გამოიკვეთა კანდიდატის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მიზანდასახულობა, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ გიორგი გოგიაშვილის პროფესიულ თვისებებს, მათ შორის, ქცევას სასამართლო დარბაზში ვაფასებ 13 ქულით.

6. **აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა:**

აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.

კანდიდატ გიორგი გოგიაშვილს მინიჭებული აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი, არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეროვნული სამეცნიერო აკადემიის წევრი, უნგრეთის შედარებითი სამართლის აკადემიის წევრი. კანდიდატ გიორგი გოგიაშვილს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ტრენინგსა და სასწავლო კურსში, მათ შორის: რელიგიური ტოლერანტობა (აშშ. ჩრ. კაროლინა. ვაშინგტონი), საჯარო ადმინისტრაციის ცვლილებათა სტრატეგია - (დიდი ბრიტანეთი, ლონდონი), ურთიერთთანამშრომლობა ფინანსური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში (აშშ. ნიუ ორლიანი, ვაშინგტონი), სასამართლო მენეჯმენტი (აშშ. კალიფორნია, სან-ფრანცისკო), ტესტის შექმნის მეთოდოლოგია და სხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე მივიჩნევ, რომ კანდიდატი პრაქტიკულ საქმიანობას უთავსებს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენას, რაც ხელს უწყობს კვალიფიკაციის ამაღლებაში.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ გიორგი გოგიაშვილის აკადემიურ მიღწევებს და პროფესიულ წვრთნას ვაფასებ 5 ქულით.

7. **პროფესიული აქტივობა:**

პროფესიული აქტივობის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვა, ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, დამსახურება იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე და სხვა.

კანდიდატი გიორგი გოგიაშვილი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, სხვადასხვა უნივერსიტეტში, მათ შორის არის ექსპერტ-ლექტორი საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში, მოწვეული პროფესორი საქართველოს საპატრიარქოს ქართულ უნივერსიტეტში და კავკასიის უნივერსიტეტში და სხვა.

გიორგი გოგიაშვილი არის ავტორი/ თანაავტორი არაერთი სამეცნიერო პუბლიკაციისა და სახელმძღვანელოსი: შედარებითი ფედერალიზმი; სამოსამართლო სამართალი; საქართველოს ტერიტორიული მოწყობის გადაწყვეტის გზები ბელგიასა და ესპანეთის შედარებით სამართლებრივი ანალიზის ფონზე (ლ. ჯანაშვილის თანაავტორობით), შედარებითი კონსტიტუციური სამართალი (მინდია უგრეხელიძის რედაქციითა და წინასიტყვაობით) 2019 წელი და სხვა.

კანდიდატი გიორგი გოგიაშვილი არის ავტორი/თანაავტორი არაერთი სტატიისა: საქართველოს ტერიტორიული მოწყობის კონფერენცია, (თანაავტორი ფრიდრიხ ებარტის ფონდის ბიულეტენი, 1997წ. №2.) კომპეტენციის გამიჯვნა ცენტრსა და ავტონომიას შორის (GTZ-ის საერთაშორისო კონფერენციის მასალების კრებული), საჯარო სამართალი, კერძო სამართალი და სასამართლო პრაქტიკა (ქართულ და ინგლისურ ენებზე) და სხვა.

მივიჩნევ, რომ კანდიდატი პროფესიულად არის საკმაოდ აქტიური.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ გიორგი გოგიაშვილის პროფესიულ აქტივობას ვაფასებ 5 ქულით.

კანდიდატის საბოლოო შეფასება:

კანდიდატ გიორგი გოგიაშვილის კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ვანიჭებ 96 ქულას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი

საბჭოს წევრი თეა ლეონიძე

თარიღი: 28.05.2021

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გიორგი გოგიაშვილის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	20	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	95	100

სახელი, გვარი: თამარ ონიანი თ. ონიანი

თარიღი: 27.05.2021

გიორგი გოგიაშვილი

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	<u>**კეთილსინდისიერების კრიტერიუმით**</u> საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის დადგენილი მახასიათებლები: **1. <u>პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი</u>** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესაბამისი შეგნება. კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, გიორგი გოგიაშვილს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში, ჯეროვნად ასრულებს თავის ფინანსურ ვალდებულებებს. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		გათვალისიწინებული საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის გიორგი გოგიაშვილს დაეკისრა რამდენიმე მცირე - 10 და 20 ლარის ოდენობით ჯარიმა, რაც მას გადახდილი აქვს დროულად. რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობის თაობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის დადებით თვისებებს: პროფესიონალიზმს, მაღალ რეპუტაციას როგორც მოსამართლეებს, ისე თეორეტიკოს იურისტებსა და სტუდენტებს შორის, გადაწყვეტილების კარგად დასაბუთების უნარს, პასუხისმგებლობას, მაღალ ინტელექტს და სხვა. ორი რეკომენდატორი არ უთითებს კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს, დანარჩენი ორი რეკომენდატორი კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებში აღნიშნავს ზედმეტ მოკრძალებულობასა და რომ კანდიდატს არ უყვარს საკუთარი შესაძლებლობების საჯაროდ წარმოჩენა. გამოკითხული რესპოდენტები აფასებენ კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას. ორი მათგანი მიიჩნევს, რომ იცნობს კარგად. ხოლო ერთი - საშუალოდ. რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად. გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატი იყო თავშეკავებული, კორექტული. მისი ქცევა შეეფერებოდა მოსამართლის მაღალ სტატუსს.

		2. <u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა</u> მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა. რეკომენდატორები და კოლეგები კანდიდატს აფასებენ, როგორც დამოუკიდებელს, მიუკერძოებელსა და სამართლიანს. კანდიდატი არასოდეს ყოფილა პოლიტიკური ჯგუფის მხარდამჭერი/წევრი/შემომწირველი. მოძიებული ინფორმაციისა და საჯარო მოსმენისას კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის მიკერძოებული დამოკიდებულება სხვადასხვა ჯგუფის ან საკითხის მიმართ. **3. <u>პიროვნული და პროფესიული ქცევა</u>** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, თავდაჭერილობა. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, გიორგი გოგიაშვილის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. გიორგი გოგიაშვილი ცნობილ იქნა დაზარალებულად. (აღნიშნულ საქმეზე ბრალდების მხარის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის გამო შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა). რამდენიმე სამოქალაქო საქმეში წარმოადგენდა მოსარჩელეს. რეკომენდატორები და გამოკითხული პირები ახასიათებენ მას

		დადებითად. საჯარო მოსმენისა და ზემოაღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს, მისი პიროვნული და პროფესიული ქცევა შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას. **4. <u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია</u>** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი. რეკომენდატორები და გამოკითხული პირები კანდიდატს ახასიათებენ დადებითად. გიორგი გოგიაშვილის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის ინფორმაცია. კერძოდ, გიორგი გოგიაშვილს განხილული აქვს რამდენიმე საქმე, რის შესახებაც ინფორმაცია ხელმისაწვდომია ინტერნეტ სივრცეში. ეს ეხება პაპუაშვილ-ბლადაძეს, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელს და მუსტაფა ემრე ჩაბუქს. მედიამ გააშუქა მისი მონაწილეობა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კონკურსში; კანდიდატი ეწეოდა და ახლაც ეწევა აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. მას გამოქვეყნებული აქვს სამართლებრივი სტატიები და წიგნები, მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა პროფესიულ შეხვედრაში, რაც მის პიროვნულ რეპუტაციას დადებითად წარმოაჩენს.

			5. <u>ფინანსური ვალდებულება</u> მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ, რათა შეფასდეს, არსებობს თუ არა საფუძველი კანდიდატის ქონებრივი ინტერესის მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას. მოძიებული ინფორმაციის გათვალისწინებით, გიორგი გოგიაშვილი ჯეროვნად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. იმავე ინფორმაციის მიხედვით, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის. შესაბამისად, ვფიქრობ, არ არსებობს მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების ისეთი გარემოება, რამაც შეიძლება, საფრთხე შეუქმნას მის მიუკერძოებლობას.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	**20**	**20**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე. განხილულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში სამართლის

			ნორმების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, გამოყენების სისწორე. კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენისა და მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატმა სრულყოფილად იცის ადმინისტრაციული სამართლის მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობა. გასაუბრების მიმდინარეობისას გამოავლინა ეროვნული კანონმდებლობის თუ საერთაშორისო სამართლისა და პრაქტიკის ცოდნის მაღალი დონე. საჯარო სამართლის სფეროს მიკუთვნებული თითოეული საკითხი კანდიდატმა განიხილა ზედმიწევნით კვალიფიციურად და ამომწურავად. გასაუბრებისას კანდიდატი თავისუფლად მსჯელობდა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე. განსაკუთრებულად აღნიშვნის ღირსია მისი სიღრმისეული ცოდნა საკონსტიტუციო სამართალს მიკუთვნებულ საკითხებისა. კანდიდატმა მოიყვანა კონკრეტული მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან. ჩანს, რომ გიორგი გოგიაშვილი აქტიურად ეცნობა როგორც ქვეყნის შიდა სასამართლო პრაქტიკას, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს. გიორგი გოგიაშვილს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**19**	**20**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა, ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება.

			კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენისა და მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების გაცნობისა და შეფასების გათვალისწინებით კანდიდატი გამართულად, მკაფიოდ და თანმიმდევრულად ავითარებს სამართლებრივ მსჯელობას სხვადასხვა საკითხზე. წარმოდგენილი დოკუმენტები არის დასაბუთებული. კარგად ჩანს, რომ მას საკითხი ესმის სიღრმისეულად და შეუძლია თავისუფლად, დამაჯერებლად მსჯელობა. დასაბუთების დროს იშველიებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს პრეცედენტებს. საჯარო მოსმენის პროცესზე დაკვირვების შედეგად უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატს შეუძლია სამართლებრივი პრობლემის იდენტიფიცირება და არგუმენტირებული მსჯელობა ამ საკითხის გარშემო. მიმაჩნია, რომ მას უდავოდ აქვს ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი.
წერის უნარი	**19**	**20**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ კანდიდატს შეუძლია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემა. მისი მსჯელობა არის რაციონალური, ლოგიკური და თანმიმდევრული.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**14**	**15**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა. გასაუბრებიდან ჩანს, რომ კანდიდატი ფლობს ზეპირი კომუნიკაციის უნარს. მეტყველებს გამართულად და აზრს

			აყალიბებს თანმიმდევრულად. მას აქვს განსხვავებული აზრის მოსმენის უნარი.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**13**	**15**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მისი პუნქტუალობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა. რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები მიიჩნევენ რომ კანდიდატი არის პროფესიონალი. საქმის განხილვის საპროცესო ვადებს კანდიდატი იცავს საშუალოდ (36,4%), მის მიერ განხილულ საქმეებზე გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადების დაცვის მაჩვენებელი არის საშუალო (57,8%). საანგარიშო პერიოდში მოსამართლეს დასრულებული აქვს დღეში საშუალოდ 0,8 საქმე. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა შეადგენს 96% -ს. არ არსებობს კანდიდატის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ რაიმე ინფორმაცია, რაც მისი მხრიდან სამოსამართლო უფლებამოსილების ჯეროვნად შესრულებასა და მხარეთა მხრიდან მის მიმართ დამოკიდებულების დადებითად შეფასების საფუძველს იძლევა.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**5**	**5**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის

			პროგრამაში მონაწილეობა. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, გიორგი გოგიაშვილი აქტიურად მონაწილეობს პროფესიულ ღონისძიებებში. არის რამდენიმე სამართლებრივი ჟურნალის სარედაქციო ჯგუფის წევრი. ის არის პუბლიკაციებისა და სახელმძღვანელოების ავტორი.
პროფესიული აქტივობა	5	5	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციის და შეხედულების ღიად და თავისუფლად გამოხატვა, ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, დამსახურება იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე. გიორგი გოგიაშვილი არაერთი პუბლიკაციისა და სახელმძღვანელოს ავტორია. მრავალი წელია, ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა უნივერსიტეტში.
ქულათა ჯამი	**95**	**100**	

სახელი, გვარი: თამარ ონიანი

ხელმოწერა: თ. ონიანი

თარიღი: 27.05.2021

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გიორგი გოგიაშვილის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20
წერის უნარი	20	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	12	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	95	100

სახელი, გვარი : ნიკოლოზ მარსაგიშვილი

თარიღი: 28/05-2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

გიორგი გოგიაშვილის შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის გიორგი გოგიაშვილის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	გიორგი გოგიაშვილი გამოირჩევა პრინციპულობით, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარით, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. აგრეთვე, იგი არის კორექტული და აქვს საკუთარი ემოციების მართვის უნარი. იგი როგორც კოლეგებში, ისე თეორეტიკოს იურისტებსა და სტუდენტებში სარგებლობს მაღალი რეპუტაციით. კანდიდატს გამოკითხული პირები აფასებენ უაღრესად დადებითად.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			კომენტარი
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20	გიორგი გოგიაშვილი ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით სიღრმისეულად ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. მასთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი გამოირჩევა მრავალმხრივი თეორიული ცოდნით, აგრეთვე, იგი კარგად ფლობს სამართლის ფილოსოფიას; როგორც ეროვნულ, ისე უცხო ქვეყნების კანონმდებლობას. კანდიდატი კარგად იცნობს ადამიანის უფლებების სამართალს, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. გიორგი გოგიაშვილს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20	კანდიდატს აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 9-წლიანი გამოცდილება. აღსანიშნავია, რომ გიორგი გოგიაშვილი გამოირჩევა ანლიტიკური აზროვნებითა და საკუთარი მოსაზრების არგუმენტირებულად და დამაჯერებლად გადმოცემის უნარით.
წერის უნარი	20	20	გიორგი გოგიაშვილის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების[1] შესწავლის საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ მას აქვს წერის კარგად განვითარებული უნარი. კერძოდ, კანდიდატი ზუსტად იყენებს და აანალიზებს სამართლბრივ ნორმებს. მის მიერ მოყვანილი არგუმენტები არის თანმიმდევრული, ნათელი და მკითხველისთვის ადვილად

[1] სასამართლო გადაწყვეტილება საქმეებზე: №3ბ/1429-16, №3ბ/1314 -16, №3ბ/1434-16, განსხვავებული აზრი - საქმეზე: №3ბ/366-18, სამეცნიერო/სხვა სახის პუბლიკაციები: „სამოსამართლო სამართალი“, სახელმძღვანელო 2020 წ.

			აღსაქმელი.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15	გიორგი გოგიაშვილს აქვს მეტყველების კარგი უნარი, იგი არის პრეზენტაბელური, გაწონასწორებული და თანმიმდევრული. აღსანიშნავია, რომ კანდიდატი ღიად, ნათლად და თავისუფლად გადმოსცემს საკუთარ შეხედულებებს.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	12	15	გიორგი გოგიაშვილი გამოირჩევა მიზანდასახულობითა და გულმოდგინებით და გააჩნია საქმის სათანადოდ მომზადების, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების გამორჩეული უნარი. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ დაბალია მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი - 36,4%, უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენტული მაჩვენებელი კი შეადგენს 96% -ს.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5	კანდიდატი არის ღია სიახლეების მიმართ და გააჩნია ახალი ცოდნის შეძენისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების დიდი ინტერესი. აღსანიშნავია, რომ იგი მონაწილეობას იღებს სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ტრენინგსა თუ სასწავლო კურსში.
პროფესიული აქტივობა	5	5	გიორგი გოგიაშვილს მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებებში. ამასთან, გააჩნია დოქტორის აკადემიური ხარისხი და ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. გიორგი გოგიაშვილი არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეროვნული სამეცნიერო აკადემიისა და უნგრეთის შედარებითი სამართლის აკადემიის წევრი. მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატი არის არაერთი სახელმძღვანელოს, სტატიისა თუ სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი/თანავტორი. აგრეთვე, არის სხვადასხვა სამართლებრივი ჟურნალის სარედაქციო ჯგუფის წევრს.
ქულათა ჯამი	95	100	

დასაბუთება	**უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი გიორგი გოგიაშვილი კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ფინანსური ვალდებულება. აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით გიორგი გოგიაშვილის შეფასება დაეყრდნო კანდიდატების შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მოხდა მის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაციის გამოთხოვა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ, სს „კრედიტინფო საქართველოდან“ სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან ცნობა შემოსავლების შესახებ, საჯარო სამსახურის ბიუროდან ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, კანდიდატის სამუშაო ადგილიდან ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ, კანდიდატის დახასიათების მიზნით მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან შევსებული სპეციალური ფორმის რეკომედაციები, კითხვარები და სხვ. ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც, რომ გიორგი გოგიაშვილის შეფასებისას გათვალიწინებულ იქნა მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენისას კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა თვისებები, მახასიათებლები და სხვ. ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კანდიდატთან დაკავშირებით *<u>პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლის</u>* თაობაზე შესაძლებელია ითქვას, რომ გიორგი გოგიაშვილს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები, რომლებიც კარგად იცნობენ კანდიდატს და მასთან აქვთ სამსახურებრივი თუ პირადი ხასიათის ურთიერთობა, ახასიათებენ როგორც წესიერ, კორექტულ და კეთილსინდისიერ პიროვნებას. ამასთან, გიორგი გოგიაშვილს სწორად აქვს გაანალიზებული მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა და სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. ფინანსური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით კი უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატს		

	აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია თუმცა, მას უფიქსირდება მცირედი ჯარიმები. რაც შეეხება *<u>დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელს,</u>* გიორგი გოგიაშვილის თაობაზე მოძიებული ინფორმაციითა და საჯარო მოსმენაზე მის მიერ გამოვლენილი თვისებების გათვალისწინებით, შემექმნა შთაბეჭდილება, რომ იგი არის პრინციპული, პიროვნულად მყარი, შეუვალი, ზეგავლენის მიმართ მედეგი და გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. ასევე, გამოკითხული რეკომენდატორები კანდიდატის დახასიათებისას აღნიშნავენ, რომ იგი არის დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, სამართლიანი და გამოირჩევა პროფესიონალიზმით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მისი მოსამართლედ მუშაობის განმავლობაში არ გამოკვეთილა გარემოება, რომელიც შესაძლოა გამხდარიყო მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველი. რაც შეეხება, გიორგი გოგიაშვილის პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობის საკითხს, ამასთან დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი, შემომწირველი და საჯარო მოსმენაზეც მისი მხრიდან არ გამოკვეთილა პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებლობის ნიშნები. *<u>პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან</u>* დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ გიორგი გოგიაშვილმა საჯარო მოსმენაზე გამოავლინა, რომ იგი არის თავდაჭერილი, მშვიდი, თავაზიანი, გაწონასწორებული და გააჩნია საკუთარი ემოციების მართვის უნარი. აღსანიშნავია, რომ კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს, კოლეგებთან თუ სხვა პირებთან ურთიერთობისას არის კორექტული და გამოირჩევა მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. ამასთან, კანდიდატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. ხოლო რაც შეეხება სასამართლოში წარმართულ დავებში გიორგი გოგიაშვილის მხარედ მონაწილეობის საკითხს, ამასთან დაკავშირებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი მხარედ მონაწილეობდა ოთხ სამოქალაქო საქმეში. პირველ საქმეში - დავის საგანს წარმოადგენდა ზიანის ანაზღაურება. მაგრამ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 11 თებერვლის განჩინებით მოსარჩლის შუამდგომლობა სარჩელის გამოხმობის თაობაზე დაკმაყოფილდა და სარჩელი დარჩა განუხილველი. მეორე საქმეში დავის საგანი იყო უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება. შედეგად - განმცხადებლის მოთხოვნა უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ დაკმაყოფილდა. მესამე საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. თუმცა, მოსარჩელეს სარჩელის მიღებაზე უარი ეთქვა. მეოთხე საქმეში კი დავის საგანი იყო თანხის დაკისრება. მაგრამ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 27 ივნისის განჩინებით მოსარჩელეს სარჩელის მიღებაზე უარი ეთქვა. აგრეთვე, საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, კანდიდატი ერთ სისხლის სამართლის

	საქმეში ცნობილ იქნა დაზარალებულად (აღნიშნულ საქმეზე ბრალდების მხარის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის გამო შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა). რაც შეეხება *პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებელს*, კანდიდატის პიროვნულ თვისებებს, ისევე როგორც მის პროფესილ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად, აღნიშნავენ რომ იგი გამოირჩევა მაღალი რეპუტაციით. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატის შესახებ ინტერნეტ სივრცეში იძებნება სხვადასხვა სახის ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება მის მიერ განხილულ საქმეებს და მის მონაწილეობას საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შესარევ კონკურსში. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან და ხარისხთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ კანდიდატი აქტიურად იღებს მონაწილეობას მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში, იგი არაერთ უნივერსიტეტში ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში წარმოადგენს ექსპერტ-ლექტორს. *ფინანსური ვალდებულების მახასიათებელთან* დაკავშირებით, შესაძლებელია ითქვას, რომ გიორგი გოგიაშვილს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია (უფიქსირდება მცირედი ჯარიმები) და მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. აგრეთვე, იგი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ამრიგად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად, გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა შემდგომში საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ ვინაიდან არ გამოკვეთილა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს. **უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე გიორგი გოგიაშვილის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი. კერძოდ, სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები, მათ

	შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მათ შორის, მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებს და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას. კანდიდატის მიერ *<u>სამართლებრივი ნორმების ცოდნის</u>* კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი გოგიაშვილი ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით სიღრმისეულად ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. მასთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი გამოირჩევა მრავალმხრივი თეორიული ცოდნით, აგრეთვე, იგი ფლობს სამართლის ფილოსოფიას. კარგად იცნობს როგორც ეროვნულ, ისე უცხო ქვეყნების კანონმდებლობას, ადამიანის უფლებების სამართალს, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. გიორგი გოგიაშვილს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2020 წლის 16 დეკემბერს გიორგი გოგიაშვილთან გაიმართა საჯარო მოსმენა.[2] საჯარო მოსმენაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს არაერთი სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვა. გიორგი გოგიაშვილი იყო პრეზენტაბელური, მშვიდი, კორექტული და თავდაჯერებული. ამასთან, იგი ღიად, თავისუფლად გადმოსცემდა საკუთარ მოსაზრებებს, სიღრმისეულად აანალიზებდა სამართლებრივ საკითხებს და ანვითარებდა საინტერესო, არგუმენტირებულ და დასაბუთებულ მსჯელობას. აღსანიშნავია, რომ გიორგი გოგიაშვილი უმეტესად ამომწურავად და ზუსტად პასუხობდა დასმულ შეკითხვებს. კანდიდატის *<u>სამართლებრივი დასაბუთების, კომპეტენციისა და წერის უნართან</u>* დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატს აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 9-წლიანი გამოცდილება, აგრეთვე, იგი 4 წლის განმავლობაში ირიცხებოდა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა რეზერვში. აღსანიშნავია, რომ კანდიდატი ამჟამად არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე. გიორგი გოგიაშვილის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების[3] შესწავლის საფუძველზე კი უნდა აღინიშნოს, რომ მას აქვს წერის კარგად განვითარებული უნარი. კერძოდ, კანდიდატი

[2] იხ. გიორგი გოგიაშვილთან გამართული საჯარო მოსმენის ვიდეოჩანაწერი: https://www.youtube.com/watch?v=OBTWPqdUIYw

[3] სასამართლო გადაწყვეტილება საქმეებზე: №3ბ/1429-16, №3ბ/1314 -16, №3ბ/1434-16, განსხვავებული აზრი - საქმეზე: №3ბ/366-18, სამეცნიერო/სხვა სახის პუბლიკაციები: „სამოსამართლო სამართალი“, სახელმძღვანელო 2020 წ.

ზუსტად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს. მის მიერ მოყვანილი არგუმენტები არის თანმიმდევრული, ნათელი და მკითხველისთვის ადვილად აღსაქმელი. ტექსტი აგებულია გამართულად და გრამატიკული ხასიათის შეცდომების გარეშე.

კანდიდატის *ზეპირი კომუნიკაციის უნარს* რაც შეეხება, როგორც უკვე აღვნიშნე, გიორგი გოგიაშვილმა საჯარო მოსმენაზე გამოავლინა, რომ იგი კარაგად წარმოადგენს საკუთარ თავს და გააჩნია გამართული მეტყველების, საკუთარი შეხედულებების ღიად, ნათლად გადმოცემისა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი.

გიორგი გოგიაშვილის *პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევასთან* დაკავშირებით კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციითა და მის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, შესაძლებელია ითქვას, რომ იგი გამოირჩევა მიზანდასახულობითა და გულმოდგინებით და გააჩნია საქმის ჯეროვნად, პასუხისმგებლობით მომზადების, მხარეებთან სათანადოდ მოქცევისა და სასამართლო სხდომის კარგად წარმართვის უნარი. უშუალოდ კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თაობაზე კი უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის 1 ნოემბრიდან - 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში დაბალია მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი - 36,4%, უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენტული მაჩვენებელი კი მაღალია და შეადგენს 96%-ს.

კანდიდატის *აკადემიური მიღწევების, პროფესიული წვრთნისა და პროფესიული აქტივობის* შესახებ შეიძლება ითქვას, რომ იგი არის ღია სიახლეების მიმართ და აქვს თვითგანვითარების, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. გიორგი გოგიაშვილი აქტიურად იღებს მონაწილეობას მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ადგილობრივ, ან საერთაშორისო ტრენინგსა თუ სასწავლო კურსში. ამასთან, კანდიდატს აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი, იგი ავტორია/თანავტორია არაერთი სახელმძღვანელოს, სტატიისა თუ სამეცნიერო პუბლიკაციის და წარმოადგენს სხვადასხვა სამართლებრივი ჟურნალის სარედაქციო ჯგუფის წევრს. აღსანიშნავია, რომ კანდიდატი არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეროვნული სამეცნიერო აკადემიისა და უნგრეთის შედარებითი სამართლის აკადემიის წევრი. გიორგი გოგიაშვილი არაერთ უნივერსიტეტში ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას და იუსტიციის უმაღლეს სკოლაში წარმოადგენს ექსპერტ-ლექტორს.

შეჯამება

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანდიდატ გიორგი გოგიაშვილთან დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს

	კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებლთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კანდიდატის მიერ დაგროვებულმა ქულათა ჯამმა, მაქსიმალური 100 ქულიდან, შეადგინა 95 ქულა. შესაბამისად, კანდიდატის ცოდნის, პროფესიული გამოცდილებისა და მის მიერ გამოვლენილი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მას შესწევს უნარი ღირსეულად შეასრულოს უზენაესი სასამართლოს, მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლოს მოსამართლისთვის დაკისრებული რთული და საპასუხისმგებლო საქმიანობა.

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 28/05-2021